ბივითარების სააგენტო"–ში. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში „თანხის გამცემი" უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება.

დ) „თანხის გამცემს" წარუდგინოს ექსპერტიზის დასკვნა რეალურად შესრულებული სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობისა და შესრულებული სამუშაოების ხარისხის თაობაზე და ექსპერტიზაზე გაწეული ხარჯის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ე) სამუშაოს შესრულება დასტურდება „თანხის მიმღების" მიერ წარმოდგენილი ანგარიშის საფუძველზე (ფორმა №2, ფორმა №3, მიღება-ჩაბარების აქტი, ექსპერტიზის დასკვნა რეალურად შესრულებული სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობისა და შესრულებული სამუშაოების ხარისხის თაობაზე და გახარჯული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მათ შორის ექსპერტიზაზე გაწეული ხარჯის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი) .

ვ) ანგარიშის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, „თანხის გამცემსა" და „თანხის მიმღებს" შორის გაფორმდება შედარების აქტი. სამშენებლო სამსახურის მიერ შესაბამისი სამსახურებრივი ბარათის წარმოდგენის შემდგომ, შედარების აქტზე ხელმოწერის უფლება „თანხის გამცემის" მხრიდან გააჩნია საბუღალტრო სამსახურს.

4.3 სახელმწიფო შესყიდვის პროცედურაზე, სამუშაოს შესრულების ვადაზე, ხარისხზე, გარანტიაზე კონტროლი და პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება თანხის მიმღებს.

## 5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 „თანხის გამცემს" ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებაზე;

5.2 „თანხის მიმღები" ვალდებულია უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

5.3 „თანხის გამცემი" ვალდებულია კონტროლის შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების შესახებ წერილობით აცნობოს „თანხის მიმღებს".

## 6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობის შემთხვევაში, ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს აღნიშნულის თაობაზე;

6.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი სახით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

## 7 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

7.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში წარმოიშვა შესრულების შემაფერხებელი გარემოებები, მაშინ შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით;

7.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ამ ხელშეკრულების 7.2 პუნქტის გათვალისწინებით.